სამაუწყებლო კომპანია "ლტვ" შ.პ.ს "ეკომი"
BROADCASTING COMPANY "LTV" L.T.D "ECOM"
ლაგოდეხი
2700 საქართველო, ქ. ლაგოდეხი, ზაქათლის ქ.#29,
2700, 29 Zakatala str, Lagodekhi, Georgia
ტელ: +995 599 97 96 58 +995 598 78 30 79
e-mail: khubulavalali@gmail.com lag-tv@mail.ru

28 ივლისი 2025 წელი

№-11

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

წარმოგიდგენთ, შპს „ეკომი" სამაუწყებლო კომპანია „ლტვ"-ს ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების ტარიფების გაანგარიშების შესახებ ინფორმაციას.

ასევე, გაცნობებთ, ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმაში საკუთარი არხით ათვისებული რესურსი ქსელში SD ფორმატით ინფორმაციის გადაცემის სიჩქარე შეადგენს 3,5 მგბტ/წმ, ხოლო მულტიპლექს პლატფორმაში თავისუფალი რესურსის ოდენობა შეადგენს 3,5 მგბტ/წმ. ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმაში არსებული თავისუფალი რესურსთან დაშვების თაობაზე შპს „ეკომის"-სთვის ავტორიზებულ პირს არ მოუმართავს.

პატივისცემით,

შპს „ეკომი" სამაუწყებლო კომპანია „ლტვ"

დირექტორი: /დ. ხუბულავა/

ძ-25-6/3061
29.07.25
4+1ფ

დანართი #1

# შპს „ეკომი" სამაუწყებლო კომპანია „ლტვ"-ს ღია საეთერო მულტიპლექს პლატფორმის თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ქ. ლაგოდეხი

2025 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია შპს „ეკომი" სამაუწყებლო კომპანია „ლტვ"-ს მულტიპლექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომლებიც ვრცელდება ოფერტის თავისუფალ რესურსთან დაშვების ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი")

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლის ოფერენტის თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. მომსახურება იწარმოებს DVB -T (EN 300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H -264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T ( ) : 1/8 პარCOFDOM:8k,64 QAM, Coding rate:2/3, Guard interval:1/8) პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22.118 მგბტ წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2.15 მგბტ წამისა:

1.1. ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ლაგოდეხი, ზაქათლის ქ#29;

1.2. ექსეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე;

1.3. ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: ციფრული ინტერფეისი (SD) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. ოფერენტის კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზონაში ღია ეთერით 1 მგბტ წამით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 223.00 ლარს, ხოლო 2,15 მგბტ წამში 480.00 ლარი დღგ-ს გარეშე.

3. „ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები:

3.1. „აქცეპანტი" ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) წინსწრებით პირველი თვის თანხის გადახდის დოკუმენტი.

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1. წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2025 წლის 1 აგვისტოდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

შპს „ეკომი" სამაუწყებლო კომპანია „ლტვ"

დირექტორი: /დ. ხუბულავა/